



ჯანდაცვის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია მოსახლეობის ჯანმრთელი სიცოცხლის გახანგრძლივების კონტექსტში

რეზიუმე

დავით სტურუა

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: d.sturua@eptc.ge

შესავალი

სტატიაში – „ჯანდაცვის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია მოსახლეობის ჯანმრთელი სიცოცხლის გახანგრძლივების კონტექსტში“ განხილულია ის ვალდებულებები, რაც თავის თავზე აიღო საქართველოს მთავრობამ ჯანდაცვის სფეროში. ეს ვალდებულებები მოცემულია სტრატეგია „საქართველო – 2020“-ში და დაყოფილია შემდეგ მიმართულებებად: ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა; ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის გაუმჯობესება; სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; სამკურნალობის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება; მოსალოდნელი შედეგები.

სტატიის ავტორი ცალ-ცალკე იხილავს ყველა ამ მიმართულებას და აკეთებს მათზე კომენტარებს. იგი დადებითად აფასებს იმ პროგნოზს, რომ 2020 წლისთვის ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევა გავრცელდება მთელ მოსახლეობაზე და მათი მონაწილეობა საკუთარი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად გაწეულ ხარჯებში 30%-მდე შემცირდება. ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ჯანდაცვის საპროგნოზო მაჩვენებლებში უნდა ჩართული იყოს არა მხოლოდ სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობა და ზოგიერთი სხვა მაჩვენებელი, არამედ ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობაც.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, სამედიცინო მომსახურება, ჯანმრთელობა, ჯანდაცვის სტრატეგია, ხარისხიანი ჯანდაცვა.

ცნობილია, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება მეცნიერებს შორის ყოველთვის იყო დისკუსიის საგანი. მეცნიერთა ერთი ნაწილი (აღამ სმიტი და მისი მიმდევრები) მიიჩნევდა, რომ საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფო რეგულირება არ სჭირდება, ბაზარზე მოქმედი „უჩინარი ხელი“ თვითონ დაარეგულირებს მას. მეცნიერთა მეორე ნაწილი (ჯ. კეინსი და მისი მიმდევრები) კი ასაბუთებდა, რომ საბაზრო მექანიზმს აქვს „ჩავარდნები“, რომლის დროსაც სახელმწიფოს ჩართვა აუცილებელია. ეს დისკუსია გრძელდება დღესაც. რადგან ჯანდაცვა ეკონომიკის ერთ-ერთი დარგია, ეს საკითხი ეხება სახელმწიფო მხრიდან მის რეგულირებასაც.

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ საქართველოს მთავრობის პოლიტიკას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში 2020 წლამდე. იგი რა თქმა უნდა მოიცავს ჯანდაცვის სახელმწიფო რეგულირების საკითხებსაც.

1. ჯანდაცვის განვითარების სტრატეგია საქართველოში.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უსაფრთხო უზრუნველყოფა ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია. „სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციას, პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობებს და წინ აღუდგება ქვეყნის პროგრესის შემადგენელ გარე და შიდა საფრთხეებს“ [1, გვ. 301]. ამ ამონარიდში ხაზგასმით არის ნაჩვენები, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება შეიცავს „პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისთვის ღირსეული პირობების უზრუნველყოფას“. არსებობის



ღირსეულ პირობებში ცხოვრების პირობები, პირველ რიგში კი, მაღალი დონის ჯანდაცვაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა არის ნაგულისხმევი.

დღეს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე უადრესად დაბალია, მოსახლეობის 42% ღარიბ-ღატაკია, შრომისუნარიანი მოსახლეობის 11,8% უმუშევარია (კერძო გამოკვლევებით – 30% და მეტი), სიღარიბის და დაუსაქმებლობის გამო 1 მლნ ადამიანზე მეტი ემიგრირებულია საქართველოდან, სიკვდილიანობის კოეფიციენტი აღემატება შობადობას, მაღალია ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა და ა. შ. და ა. შ., და, ეს ხდება მას შემდეგ, რაც ქვეყანა უკვე 26 წელია ფუნქციონირებს საბაზრო მექანიზმით. სწორედ საბაზრო მექანიზმმა შექმნა საქართველოში ასეთი პირობები. მართალია, იგივე საბაზრო მექანიზმი მოაწესრიგებს ამ ვითარებას, მაგრამ ეს იქნება მეტად ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. გაეროს გამოკვლევით ქართველი ერი 2050 წლისთვის გამჭრალ ერთა სიაშია შეტანილი, რამდენია ალბათობა იმისა, რომ ამ ვითარების გამოსწორებას საქართველოში საბაზრო მექანიზმი უფრო ადრე მოახდენს, ვიდრე 2050 წელი დადგება?

ყოველივე ზემოთნათქვამიდან გამომდინარე მოსახლეობის ინტერესებთან, სოციალურ და მატერიალურ მხარეებთან, ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობებთან მიმართებაში უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი. მის მიერ შემუშავებულ სტრატეგიაში უნდა ჩაიდოს მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, ბედნიერების უზრუნველყოფა, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების პირობების შექმნა.

ადამიანის ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ელემენტებია [2, გვ. 72]:

- ადამიანთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება;
- ადამიანთა სასურსათო და შრომითი უსაფრთხოება;
- ადამიანთა ცხოვრების ხარისხის და პოტენციალის უსაფრთხოება.

ჩამონათვალიდან პირველი – ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას – უზრუნველყოფს კარგი სამედიცინო მომსახურება და მასზე მოსახლეობის ფართო ხელმისაწვდომობა. ბუნებრივია იბადება კითხვა: ქვეყანაში, სადაც ეკონომიკის საბაზრო მექანიზმმა ტოტალური სიღარიბე შექმნა, როგორ შეძლებს იგი (ან როდის შეძლებს) სახელმწიფოს დახმარების გარეშე, მთელი მოსახლეობისთვის კარგ სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას?

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციაში მოცემულ ინდიკატორთა ჩამონათვალში მე-7 ნომრად სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლებია ნაჩვენები, მის შიგნით კი, მე-9 ნომრად – „ჯანმრთელობაზე დანახარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ)“. რა თქმა უნდა, მასში ის ხარჯი იგულისხმება, რომელსაც საქართველოს ბიუჯეტი ამ მიზნით გაიღებს.

მოსაწონია, რომ საქართველოში შექმნილია სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (სსიპ-ის სტატუსით) და მოსაწონია ისიც, რომ ამ სააგენტოს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების სტრატეგიაში – „საქართველოს 2020“ – ჯანდაცვის ხაზით საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებამ თავის თავზე მეტად სოლიდური ვალდებულებების შესრულება აიღო.


ეს ვალდებულებები 2013 წელს იქნა აღებული 2016-2020 წლებში შესასრულებლად და ისინი შემდეგნაირია [3]:

ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის და ხარისხის კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრა უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის ინკლუზიურ განვითარებაზე. მოსახლეობის ავადობა, სიკვდილიანობა და უნარშეზღუდულობა მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს როგორც ადამიანური რესურსის პროდუქტიულობის, ისე ზოგადად ეკონომიკური განვითარების კუთხით.

საქართველოს მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ჯანდაცვაზე კერძო, ჯიბიდან გადახდების კატასტროფული დანახარჯების შემცირებაა. 2011 წლის მონაცემებით [4], საქართველო ევროპის რეგიონში გამოირჩეოდა კერძო, ჯიბიდან გადახდების მაღალი მაჩვენებლით (70%).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების მიერ პირდაპირ ჯიბიდან გადახდილი თანხების 2/3-ს შეადგენდა მედიკამენტებზე დანახარჯები. საქართველოს მოსახლეობა წამლებზე ყოველწლიურად მშპ-ს 3%-ს ხარჯავდა, რაც ორჯერ აღემატება ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების საშუალო მონაცემებს. მედიკამენტებზე არსებული მაღალი დანახარ-



ნახაზი 1. სახელმწიფოსა და შინამეურნეობების დანახარჯები ჯანდაცვაზე

ჯები იხსნება წამლების არარაციონალური დანიშნის პრაქტიკით, მოსახლეობა თვითმკურნალობის მაღალი მაჩვენებლით და ვენერიული მედიკამენტების ნაკლებად გამოყენებით. სამედიცინო მომსახურების მაღალი ღირებულების გარდა, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მომსახურების ხარისხი. სამედიცინო დაწესებულებების მასობრივი პრივატიზაცია (2013 წლისთვის სამედიცინო დაწესებულებების 10%-ზე ნაკლები რჩება სახელმწიფო საკუთრებაში) არ ყოფილა დაბალანსებული რეგულირების სათანადო მექანიზმებით, რაც დაიცავდა პაციენტის უფლებას მიეღო ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება და კლინიკებში დანერგილიყო სამედიცინო შეცდომების ეფექტური მართვის სისტემები.

ქვეყანაში არ არის დანერგილი სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი აპრობირებული მეთოდები, როგორიცაა აკრედიტაცია, ხოლო ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსის კუთხით არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს. კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა და მათი არათანაბარი გეოგრაფიული გადანაწილება ასევე მნიშვნელოვან ბარიერად რჩება ხარისხიანი სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფის გზაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არაკეთილსაიმედო გამოსავლების, სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხის და მომსახურებაზე მაღალი, „გამაღარიბებელი“ ჯიბიდან გადახდების მიღმა ორი ძირითადი პრობლემა იკვეთება: (1) ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების სისტემის არასრულფილება, და (2)

სამედიცინო სამსახურების არასათანადო რეგულირება.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებული პოლიტიკის მიმართულებები. ამ სფეროში განსახორციელებელი პოლიტიკა მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ტვირთის (მ. შ. კატასტროფული დანახარჯების რისკების) შემცირებითა და მოსახლეობის ავადობის და სიკვდილიანობის გამომწვევი ძირითადი მიზეზების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებით.

ჯანდაცვის დაფინანსების სისტემების გაუმჯობესება. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოცვის შენარჩუნებითა და ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების სისტემების გაუმჯობესებით იგეგმება არა ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯის ოდენობის ზრდა (რაც უკვე 2011 წლისათვის მშპ-სთან მიმართებით 9%-ს შეადგენდა), არამედ სამედიცინო სერვისებსა და მედიკამენტებზე შინამეურნეობების ფინანსური ტვირთის შემცირება, სახელმწიფო და კერძო დანახარჯებს შორის თანაფარდობის ცვლილების გზით.

ჯანდაცვის სექტორში დაფინანსების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ამოქმედება საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო სერვისების „ერთიანი შემსყიდველი მექანიზმი“. ამასთანავე განიხილება სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ინტეგრირებული სისტემის (დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების) დანერგვა, რომელიც სამედიცინო სერვისზე სახელმწიფო დანახარჯებს უფრო ეფექტიანს გახდის. გარდა



ამისა, სახელმწიფო რესურსების ხარჯთეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება დღემდე მოქმედი ჯანდაცვის „ვერტიკალური“ (ინდივიდუალურ დაავადებებზე ორიენტირებული) პროგრამების [3] რეფორმა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ინტეგრირებისა და სახელმწიფო ინვესტიციების მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მხოლოდ მაღალი ეფექტურობის სერვისებზე გადაწევაში.

მაღალმთიანი და კონფლიქტური ზონების მიმდებარე რაიონებში მცხოვრები განსაკუთრებით მოწყვლადი მოსახლეობის ინკლუზიურობის ხელშეწყობის მიზნით, გაუმჯობესდება ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისა და სერვისების მიწოდების არსებული სისტემები.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, რაც თავის მხრივ, გაზრდის ჯანდაცვაზე გამოყოფილი რესურსების ეფექტიანობას, იგეგმება ხარისხის კონტროლის ერთიანი სისტემის ამოქმედება. 2016-2020 წლამდე საქართველოს განვითარების სტრატეგიის მიხედვით აღნიშნული მოიცავს [4, გვ. 64]:

1. სამკურნალო დაწესებულებების რეგულირების მექანიზმების გაუმჯობესებას, მათ შორის, შიდა აუდიტის, ხარისხის გაუმჯობესების სისტემის და აკრედიტაციის მექანიზმების განვითარება.

2. უწყვეტი სამედიცინო განათლების დანერგვასა და სტიმულირების სისტემის ამოქმედებას სამედიცინო პერსონალის მოტივაციის და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

3. პაციენტთა უსაფრთხოების და უფლებების დაცვის გაძლიერების სამედიცინო შეცდომების სისტემური მართვისა და დავების განხილვის ალტერნატიული მექანიზმების შექმნით.

4. კლინიკური პრაქტიკის სტანდარტების რეგულარული განახლებასა და დანერგვას თანამედროვე ბიო-სამედიცინო კვლევებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

რეფორმის მიზანია 2020 წლისათვის სამედიცინო დაწესებულებების სულ მცირე 70%-ის დაქვემდებარება აკრედიტაციის ეროვნულ სისტემაზე და მედპერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სამედიცინო განათლების სისტემის და სერთიფიცირების მექანიზმების გაძლიერებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სამკურნალოწამლო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. სტრატეგია „საქართველო – 2020“-ის მიხედვით გამკაცრდება რეგულაცია მედიკამენტების რაციონალური გამოყენების მიზნით, მათ შორის, მტკიცებულებაზე

ბაზე დაფუძნებული კლინიკური პრაქტიკის დანერგვისა და უპროცენტოდ გასაცემი მედიკამენტების ჩამონათვლის ეტაპობრივი შემცირებით. აღნიშნული ზომები შეამცირებს წამლის არასწორ გამოყენებას (მ. შ. მედიკამენტების მიმართ რეზისტენტობის განვითარების საფრთხეს) და ხელს შეუწყობს სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის გაზრდას. დღევანდელი მდგომარეობით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების რესურსებით მოსახლეობას უფასოდ აწვდის მთელ რიგ სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტებს (დი-აბეტის, ტუბერკულოზის, შიდსის, დიალიზის, ჰემოფილიის, გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციების დროს გამოსაყენებელ პრეპარატებს). გარდა ამისა, განსაზღვრულია პრიორიტეტული დაავადებების (მაგალითად, ჰიპერტენზიის) სამკურნალოდ ესენციური წამლების ჩართვა საბაზისო პაკეტში. მთავრობა ასევე უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტების (არგ, ტუბსაწინააღმდეგო წამლებისა და ვაქცინების) უწყვეტობას ერთიანი შესყიდვების ან სხვა ხარჯთეფექტური მექანიზმების გამოყენებით [4, გვ. 64].

პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება. სახელმწიფო გააძლიერებს ოჯახის ექიმის ინსტიტუტს, როგორც პირველადი მიმართვის რგოლს, რათა გაუმჯობესდეს პაციენტთა მართვა ამბულატორიულ დონეზე. ასევე განიხილება პირველადი ჯანდაცვის და სამედიცინო მომსახურების სხვა დონეებს შორის უფრო ეფექტური კავშირების ამოქმედება სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ჭარბი დანახარჯების შესამცირებლად. სახელმწიფო ყურადღებას გაამახვილებს პირველადი ჯანდაცვის დონეზე პრიორიტეტული გადაწყვეტილებები (ვაქცინებით მართვადი ინფექციების, ტუბერკულოზის) და არაგადამდები (გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური) დაავადებების ადრეულ გამოვლენასა და ეფექტურ მართვაზე. გაძლიერდება ჯანმრთელობის ხელშეწყობის ინიციატივები ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარების, წამალდამოკიდებულებისა და ჰიპოდინამიის შემცირებისკენ როგორც ახალგაზრდა, ასევე მოზრდილი მოსახლეობის ჯგუფებისათვის.

მოსალოდნელი შედეგები. ჯანდაცვის სექტორში განსახორციელებელი ღონისძიებები მიზნად ისახავს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას [4, გვ. 66]. საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტად იქნება დაცული



მიზნები ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფისთვის

მიზანი	საბაზისო	2017	2020
ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის/საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით მოსახლეობის დაცვა % (2012)	50	100	100
ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში % (2011)	70	50	30
სამკურნალწამლო საშუალებებზე დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდებში % (2011)	60	40	20
აკრედიტებული საავადმყოფოების წილი (%)	0	50	70
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მართვიანობა (ვიზიტი ერთ სულ მოსახლეზე)	2,1	4	8
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას	72	74	76

ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯების და გადარიბების რისკებისაგან; გაუმჯობესდება ხელმისაწვდომობა ხარისხიან სამედიცინო მომსახურებასა და სამკურნალწამლო საშუალებებზე; გაიზრდება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე მეტი ძალისხმევის მიმართვის გზით. აღნიშნული კი დადებითად აისახება ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების, ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის მაჩვენებლებზე.

საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რომ 2020 წლისთვის საყოველთაო დაზღვევამ მოიცვას მოსახლეობის 100%, ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში ჯიბიდან გადახდის წილი შემცირდეს 30%-მდის, სამკურნალწამლო საშუალებებზე დანახარჯები შემცირდეს 20%-მდე, სიცოცხლის ხანგრძლივობა კი გაზარდოს

76 წლამდე.

ჩვენი შენიშვნა საქართველოს განვითარების სტრატეგიის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ მასში დაპროგნოზირებული უნდა იყოს არა მხოლოდ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, არამედ ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობაც. სიცოცხლე ადამიანის მოთხოვნილებაა, ჯანმრთელი სიცოცხლი კი – მისი უფლება.

დასკვნა. სტატიაში განხილული მასალით გვინდა გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ სწორად იქცევა საქართველოს მთავრობა, რომ ზრუნავს ჯანდაცვის განვითარებაზე; ჯანდაცვა არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ბიზნესად. მოგების გარდა მუდმივად მისი მიზანი უნდა იყოს მოსახლეობის ჯანმრთელი სიცოცხლის უზრუნველყოფა.

ლიტერატურა:

1. ოთინაშვილი რ. ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანკრიზისული ასპექტები, თბ., 2005.
2. ციმინტია კ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, თბ., 2009.
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის – „საქართველო – 2020“, თბ., 2013.
4. სამედიცინო მომსახურებით სარგებლობისა და ჯანდაცვის დანახარჯების კვლევა, 2010.

BIBLIOGRAPHY:

1. Otinashvili R. Economic Security, Analysis and Crisis Aspects, Tb., 2005.
2. Tsimintia K. State Regulation of Economics, Tb., 2009.
3. Georgia's Social-Economic Development Strategy for 2016-2020 -"Georgia - 2020",Tb., 2013.
4. Research on the use of Medical services and health care expenses, 2010.



THE STATE STRATEGY FOR HEALTH CARE IN THE CONTEXT OF PROLONGING THE HEALTHY LIFE OF THE POPULATION

DAVID STURUA

Doctoral of GTU

E-mail: d.sturua@eptc.ge

Summary

In the article: “**The State Strategy on Health Care Development in the context of Long-term Health Prolongation of the Population**” it is discussed the obligations undertaken by the Government of Georgia in the field of healthcare. These liabilities are given in the Strategy “Georgia - 2020” and are divided into the following directions: Providing access to quality and quality health care; Improving health care system; Improvement of quality of medical services; Increase access to treatment facilities; Strengthening primary health care; Expected Results.

The author of the article is considering all the directions and comments on them. He positively assesses the prediction that by 2020 universal health insurance will cover the entire population and their participation will be reduced to 30% of the costs incurred to maintain their health. The author expresses the opinion that health-monitoring indicators should include not only the lifespan of life and some other indicators but also the life expectancy.

Key words: Healthcare, Medical Service, Health, Healthcare Strategy, Quality Healthcare.